თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სამედიცინო საწოლები თანმდევი მონტაჟით
(CPV33100000)

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში
სახელმწიფო შესყიდვა
ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

თბილისი
2013 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. საკვალიფიკაციო მონაცემები
3. ტექნიკური დოკუმენტაცია
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დამატებითი ინფორმაცია
6. დანართი N1 რეკვიზიტები
7. დანართი N2 ფასების ცხრილი
8. დანართი N3 ძირითადი მახასიათებლები

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.3. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.2.ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს ,,წინადადებების მიღება დაწყებულია" - სტატუსის მინიჭების თარიღს, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს აღნიშნული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 30 დღისა;

2.3. ამ პუნქტის 2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი №1–ის მიხედვით და სატენდერო წინადადების ფასი დანართი №2–ის მიხედვით.

3.2. ანგარიშსწორების პირობები:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2. ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო;

3.2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების დამადასტურებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 15 დღისა;

3.2.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

3.3.1. შესყიდვის ობიექტია 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მაღალი ხარისხის სამედიცინო საწოლები თანმდევი მონტაჟით.

3.3.2. საქონლის რაოდენობა და მინიმალური მახასიათებლები მოცემულია დანართ №3–ში.

3.3.3. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პერიოდი არ უნდა იყოს 2 წელზე ნაკლები.

3.3.4. პრეტენდენტმა წინადადებასთან ერთად სავალდებულო წესით სისტემაში უნდა ატვირთოს შესყიდვის ობიექტის წარმოშობის და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ISO ან CE ან FDA).

3.3.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თითოეული სამედიცინო საწოლის გამართვა და სანიმუშო ჩვენება.

3.3.6. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მონტაჟი უნდა უზრუნველყოს საჭირო მარაგნაწილებით.

3.4. მიწოდების პირობები და ვადები:

3.4.1. მიწოდება უნდა განხორციელდეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკაში მისამართზე: გუდამაყრის ქუჩა №4.

3.4.2. მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის ვადაში.

3.4.3. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ძირითადი მახასიათებლების (დანართი №3) მსგავსი, ექვივალენტური.

3.5. მონაწილის მიერ დადასტურებული უნდა იყოს, რომ ის ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ პირობებს (მათ შორის მოწოდებისა და ანგარიშსწორების პირობებს) და ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულ სისტემაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პოექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი 2013 წელი

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო უსამედიცინო უნივერსიტეტი, მდებარე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33 (შემდგომში, შემსყიდველი“), თსსუ-ს კანცლერის ---------- სახით და მეორეს მხრივ „----------“ ----------, მდებარე: ქ. თბილისი, ---------- (შემდგომში„მიმწოდებელი“), ხელმძღვანელის –----------სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტია: ----------

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---- ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება, ---------- ----------.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ქ. თბილისი, ----------

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
6.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
6.4. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.5.თუ „მიმწოდებელი“ ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.
7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ----------.
7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
– შეამოწმოს მიწოდებული მომსახურეობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო მომსახურეობის მიღებაზე.
8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
– გააფრთხილოს „შემსყიდველი“ მომსახურეობის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

9.6. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი მომსახურეობის ღირებულების 0,1 (ნული მთელი ერთი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

9.7. შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების 5.1. მუხლის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისთვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე. ეტაპობრივად ანგარიშსწორების შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკავება განხორციელდება უკანასკნელ ეტაპზე გადასახდელი თანხიდან.

9.8. 9.7. მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლოს გადახდა.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 11.3. ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილI იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: .....

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების
მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა
და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების
მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალიშემდგომშიწარედგინებამეორემხარესუშუალოდან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა

მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ვაჟა ფშაველას 33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
თი ბი სი ბანკი TBCBGE22
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229

თსსუ-ის კანცლერი

---------- ----------

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში მიმართვის საფუძველზე.
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №33, ოთახი: №319 და №303, საკონტაქტო პირები: ირაკლი დარბუაშვილი 254 25 66; თინათინ ჭანტურიძე 254 24 56.

1.რეკვიზიტები:
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული
სატენდერო წინადადების ფასი:
3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:
ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.“

დანართი N2

ფასების ცხრილი

№	ჩამონათვალი	მწარმოებელი ქვეყანა	მარკა და მოდელი	ზუსტი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთ ფასი	სულ ფასი
1	საწოლი სამედიცინო							
2	საწოლი-ფუნქციური, ურიკა							
3	საწოლი-ფუნქციური, რეანიმაციული							
4	საწოლი-ფუნქციური, სასწორით							
5	საწოლი-სამშობიარო მაგიდა							
სულ:								

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------
ბ.ა

დანართი №3

ძირითადი მახასიათებლები

№	ჩამონათვალი	ზუსტი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა
1	საწოლი სამედიცინო	საწოლი, პალატაში დასადგმელი, მეტალის კარკასით, ბორბლებზე, თავის მხარის ასაწევით, მექანიკური, სიგანე: 85 სმ ან ნაკლები მაფიქსირებელი მუხრუჭით: არანაკლებ 2 ბორბალზე გადასხმის შტატივით, მატრასით ბორბლები: რბილი, რეზინის ან მსგავსი გარსით, დიამეტრიც 110 მმ ან მეტი	ცალი	125
2	საწოლი-ფუნქციური, ურიკა	საწოლი-მობილური, ე.წ. 'სტრეტჩერი", გადაუდებელი დახმარების სამსახურისათვის, თავის მხარე- ასაწევი, რბილი ზედაპირით გადასხმის შტატივით დასაფიქსირებელი მატრასით ან რბილი ზედაპირით პაციენტის ვერტიკალური მოძრაობის შესაძლებლობით ჰიდრავლიკურად; მაღალი, რბილი ბორბლებით, მაფიქსირებელი მუხრუჭით, გვერდებზე მოძრავი ბარიერებით (ვერტიკალურად ასაწევი); რენტგენო-გადაღების შესაძლებლობით პაციენტის წონა მაქს: არანაკლებ 220კგ გადასხმის შტატივით, კედელზე დაჯახების ამრიდებით/დამცავით	ცალი	15
3	საწოლი-ფუნქციური, რეანიმაციული	საწოლი მრავალფუნქციური, ელექტრული მართვით, კრიტიკული მედიცინის სამსახურისათვის მაღალი ხარისხის მეტალის კარკასით და ზედაპირით; სექციების მოძრაობა ელექტრო-მოტორებით, საწოლზე არსებული კლავიატურით და პულტით; ტრენდენბურგის ფუნქციით: არანაკლებ 20 სმ გადახრით; პაციენტისათვის საწოლის ფუნქციონირების დაბლოკვის შესაძლებლობით; სექციების რაოდენობა: არანაკლებ 4; თავის და ფეხების მხარეს საფარების ადვილად მოხსნის შესაძლებლობით; მოძრავი გვერდითი ბარიერებით; სიგანე: 90-110 სმ; ვერტიკალური ამძრავები: 2 ჰიდრავლიკური კოლონა; პაციენტის წონა მაქს: არანაკლებ 270 კგ; ბორბლები რბილი, მედეგი მასალის, დიამეტრი: არანაკლებ 12 სმ; უნდა ქონდეს მართვისათვის აკუმულატორები, სათანადო განგაშის სისტემა; ელ.კვება: 230V +/- 10%	ცალი	15
4	საწოლი-ფუნქციური, სასწორით	საწოლი მრავალფუნქციური, აწონვის ფუნქციით, წონის პარამეტრების პროგრამირების შესაძლებლობით; ელექტრული მართვით, კრიტიკული მედიცინის სამსახურისათვის მაღალი ხარისხის მეტალის კარკასით და ზედაპირით სექციების მოძრაობა ელექტრო-მოტორებით, საწოლზე არსებული კლავიატურით და პულტით ტრენდენბურგის ფუნქციით: არანაკლებ 20 სმ გადახრით; პაციენტისათვის საწოლის ფუნქციონირების დაბლოკვის შესაძლებლობით; სექციების რაოდენობა: არანაკლებ 4; თავის და ფეხების საფარების ადვილად მოხსნის შესაძლებლობით; მოძრავი გვერდითი ბარიერებით; პაციენტის წონა მაქს: არანაკლებ 270 კგ; ბორბლები რბილი, მედეგი მასალის, დიამეტრი: არანაკლებ 12 სმ; უნდა ქონდეს მართვისათვის აკუმულატორები, სათანადო განგაშის სისტემა; ელ.კვება: 230V +/- 10%	ცალი	2
5	საწოლი-სამშობიარო მაგიდა	საწოლი საპალატო, მოდიფიკაციის შესაძლებლობით, შესაძლებელი უნდა იყოს ფეხების მხარის მოხსნა, საწოლის ვერტიკალური მოძრაობა, თავის-მხარის აწევის შესაძლებლობა	ცალი	4

		არანაკლებ 70 ° ბორბლებით, მექანიკური ხელების მოსაკიდით და ფეხების ჩამოსადებით სამშობიარო მიზნებისათვის გადასაკეთებლად		